



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლექავა თამაზ ივანეს ძე

ლექავა თამაზ ივანეს ძე (9. XI. 1933, თბილისი, – 7. VII. 2009, იქვე), ქიმიკოსი, ქიმიის მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1995). დაამთავრა სპი-ს (ახლანდ. სტუ) ქიმიის ფაკულტი ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლ. სპეციალობით (1957). მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ფიზ. ქიმიის ინ-ტში (1962–64); საქართვე. მეცნ. აკად. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინ-ტში უფრ. მეცნ. თანამშრომლად (1965–81), წამყვან მეცნ. თანამშრომლად (1981–2009), იყო ამ ინ-ტის დირექტორის მოადგილე და ელექტროკრისტალიზაციის, დენის ქიმიური წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორ. ხელმძღვანელი.

ლ-ს ნაშრომები ეხება ელექტროკრისტალიზაციის პროცესის ფუნდამენტურ საკითხებს და ელექტროქიმიური და არაორგანული ტექნოლოგიების კვლევებს; მან შეასრულა მრავალი ტექნოლ. ხასიათის პროექტი ქრომის, სპილენძისა და ოქროს ჰიდრომეტალურგიაში, კერძოდ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის კარიერული წყლების განმუხტვისა და უტილიზაციისათვის.

ლ. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიის; მიღებული აქვს მრავალი საავტორო მონუმბა და პატენტი. მისი ნაშრომები მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს თეორიული ელექტროქიმიის დარგში. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის პრემია ქიმიაში (2003), ღირსების ორდენი (2004).

ლიტ.: Акселерация при электроосаждении металлов. Тб., Мецნიереба, 1997; распределение металла на сложнопрофильном катоде при электроосаждении меди в условиях принудительной конвекции (თანაავტ.). Электрохимия, т. 39, 2003.

